ქონების დაზღვევის პირობები
FR/SME -001/2018-1

მუხლი 1. დაზღვევის საგანი

1.1. წინამდებარე პირობების შესაბამისად, დაზღვევის საგანია დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული ქონების დაზღვევა მზღვეველის მიერ წინამდებარე პირობების შესაბამისად დამზღვევის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, წყალდიდობა, თვითმფრინავის ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა, უხვთოვლიანობა, მიწისძვრა, შტორმი, ქარიშხალი, წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან მათი მცდელობა, ნიადაგის ჩამოშლა, მეწყერი, მესამე მხარის მიერ განზრახ მიყენებული ზიანი; სატრანსპორტო საშუალების შეჯახებით მიყენებული ზიანი.

1.2. წინამდებარე პირობებისა და დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა ქონების დაზღვევის სადაზღვევო პოლისი. აღნიშნულ პოლისზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე პირობებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, სადაზღვევო პოლისის გაცემა ხორციელდება შესაბამისი განაცხადის დამზღვევის მიერ შევსებისა და მისთვის სასურველი რისკების აღნიშნულ განაცხადში მითითების საფუძველზე. ხსენებული სადაზღვევო პოლისი და შესაბამისი განაცხადი იქცევა დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 2. ტერმინთა განსაზღვრებანი

წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. **დამზღვევი** – პირი, რომელიც დებს წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

2.2. **მოსარგებლე** – პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების, სადაზღვევო პოლისისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

2.3. **სადაზღვევო თანხა** – თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვეული საგნის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის საგნისათვის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე პირობების დებულებები და პირობები; დამატებით შეიძლება დაწესდეს სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტ(ებ)ი, რაც ასევე ასახვას პოვებს სადაზღვევო პოლისში;

2.4. **სადაზღვევო პრემია** – თანხა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებითა და სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;

2.5. **ფრანშიზა** – სადაზღვევო პოლისში მითითებული არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც აკლდება ზარალის თანხას; სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევის მიმართ შეიძლება დადგენილი იქნას ცალ-ცალკე ფრანშიზები, რაც, ასევე, ასახვას პოვებს სადაზღვევო პოლისში;

2.6. **სადაზღვევო პერიოდი** – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია, ანუ დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

2.7. **სადაზღვევო პოლისი** – წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.8. **დაზღვევის განაცხადი** – მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი, მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.

2.9. **დაზღვევის საგანი -** დაზღვევის საგანს წარმოადგენს დამზღვევის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ქონება, რომლის დეტალური ჩამონათვლი მიეთითება სადაზღვევო პოლისში, ამასთან, წინამდებარე **ხელშეკრ**ულებით გათვალისწინებული დაზღვევის საგანი არ შეიძლება იყოს, ანუ დაზღვევას არ ექვემდებარება და დაზღვევით არ იფარება:

ა) ფულის ბანკნოტები და კუპიურები, ბეჭდები, ობლიგაციები, სავალო ვალდებულებები, ვაუჩერები, ჟეტონები, საკრედიტო ბარათები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

ბ) ძვირფასი ლითონები და ძვირფასი ლითონების ნაკეთობები, ძვირფასი ქვები;

გ) ხელნაწერები, გეგმები, ნახაზები, ნიმუშები;
დ) კომპიუტერებში და ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ლენტი, მაგნიტური დისკი, მეხსიერების ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები;
ე) მიწისქვეშა შახტები;
ვ) ცოცხალი არსებები და/ან მცენარეები;
ზ) ნავთობ-ქიმიური რისკები, გარდა ბენზინგასამართი სადგურებისა;
თ) გადამცემი და/ან გამანაწილებელი ხაზები;
ი) ასაფეთებელი, ასევე, ქიმიური ნივთიერებების, თხევადი ან კომპრესირებული გაზის წარმოება, მიწოდება, შენახვა;
კ) ისეთი საქონელი, რომელიც მარაგის სახით არის დასაწყობებული მათი შეძენიდან 1 (ერთ) წელზე მეტი ვადით, თუ საწინააღმდეგო საგანგებოდ არ არის დათქმული სადაზღვევო პოლისში;
ლ) ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის, გათვალისწინებული საგზაო გამოყენებისთვის; სარკინიგზო ორთქმავლები, სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა, საზღვაო ხომალდები, საჰაერო ხომალდები და ა.შ.;
მ) კოსმოსური ხომალდები, მათ შორის, სატელიტური ანტენები.

2.10. **ხანძარი** – ქონების დაზიანება უშუალოდ ღია ცეცხლით, რომელიც მოჰყვა წვას და რომელიც გავრცელდა მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლისთვის განკუთვნილი ადგილიდან განსხვავებულ ადგილას ან თვითნებურად გასცდა ამგვარ ადგილს;

2.11. **აფეთქება** - აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი და დამანგრეველი გამოვლინება, არამდგრადი სისტემის სწრაფი ქიმიური რეაქცია;

2.12. **მეხის დაცემა** - უშუალოდ დაზღვევის საგნის დაზიანება მეხის დაცემით;

2.13. **თვითმფრინავის ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა** - თვითმფრინავის ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის ან ამ ტრანსპორტიდან ნივთების გადმოვარდნა, რაც განაპირობებს დაზღვეული ქონების დაზიანება-განადგურებას;

2.14. **მიწისძვრა** - უშუალოდ რეგისტრირებული მიწისძვრით გამოწვეული ქონების დაზიანება-განადგურება;

2.15. **შტორმი, ქარიშხალი** - შტორმით და ქარიშხლით გამოწვეული დაზღვეული ქონების დაზიანება-განადგურება;

2.16. **წყალდიდობა** - წყალდიდობა წარმოადგენს წყლის გარედან შესვლას დაზღვეულ შენობაში იმ მიწის ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით და რაც განპირობებულია:
ა) ზღვის უჩვეულოდ დიდი მოქცევით;
ბ) ტაიფუნის, ციკლონის ან ქარბუქის შედეგად;
გ) მდინარეების, რეზერვუარების, არხების და მსგავსი ნაგებობების დატბორვის ან ნაპირებიდან გადმოსვლის შედეგად.

2.17. **წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა** – წყლის მილების, მილსადენის, წყლის საცობების, წყლის აგრეგატებისა და ცეცხლჩამქრობი სპეციალური სისტემების მწყობრიდან გამოსვლით, დატბორვითა და გაჟონვით გამოწვეული ზარალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია წყლის მილების, მილსადენების, საცობების, აგრეგატებისა და ცეცხლჩამქრობი სპეციალური სისტემების შეკეთებით;

2.18. **ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან მათი მცდელობა -** დაზღვეული ობიექტის ფარული ან აშკარა დაუფლება ან მისი მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი შენობაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევის გზით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა წინასწარ შეთანხმებას დამზღვევის (მოსარგებლის) რომელიმე მუშაკსა ან დაზღვეულ ობიექტზე მყოფ პიროვნებასა და ბოროტმოქმედს შორის. ამასთან, წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვევით არ იფარება ქურდობის ისეთი შემთხვევები (მიუხედავად იმისა, აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე ქურდობის მუხლით), თუ შესაბამისი და სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება დაზღვეულ ობიექტზე ბოროტმოქმედ(ებ)ის შეღწევის ან გამოღწევის ფაქტი და ადგილი აქვს უბრალოდ დაზღვეული ქონების გაუჩინარებას;

2.19. **ნიადაგის ჩამოშლა, მეწყერი და უხვთოვლიანობა** - უშუალოდ მეწყერით, ნიადაგის ჩამოშლით და უხვთოვლიანობით გამოწვეული ზარალი;

2.20. **მესამე პირი(ებ)ს მიერ განზრახ მიყენებული ზიანი** - მესამე პირ(ებ)ის მიერ განზრახ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგი, გარდა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;

2.21. **სატრანსპორტო საშუალების შეჯახებით მიყენებული ზიანი** – ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების დაზღვეულ ქონებაზე შეჯახების შედეგად დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზარალი.

2.22. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია –** სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

2.23. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

2.24. **სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის ან/და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტები (შემდგომში ობიექტი) –** სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ობიექტები, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება ამავე კანონით და საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

წინამდებარე პირობებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციას შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

მუხლი 3. სადაზღვევო შემთხვევა და გამონაკლისები

3.1 სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მხოლოდ სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული რისკების ხდომილებით გამოწვეული დაზღვეული ქონების დაზიანება-განადგურება.

3.2. დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული რისკებისგან, ამასთან, "მზღვეველი" არ არის პასუხისმგებელი იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია:

ა) იონიზირებული რადიაციით, თერმობირთვული საწვავისა ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული რადიაქტიული დაბინძურებით, რადიაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან ნებისმიერი ბირთვული ნივთიერების შემცველი აირით;

ბ) მიწის სამუშაოებით, შენობის სარემონტო სამუშაოებით;

გ) მასობრივი არეულობით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით, შემოსევით, უშუალო ან არაპირდაპირ საომარი მოქმედებებით, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, სამოქალაქო ომით, საბოტაჟით, აჯანყებით, შეიარაღებული გამოსვლებით, ატომური იარაღის გამოყენებით, მანიფესტაციებით, ლოკაუტით, გაფიცვით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;

ე) ჩრჩილით, ბაქტერიებით, პარაზიტებით, ქონების ლპობით, ცვეთით, ეროზიით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, მაღალი ან ცვალებადი ტემპერატურით ან ტენიანობით, ფერმენტაციით, აორთქლებით, შემადგენლობის შეცვლით, წონის შემცირებით, გადახურებით, გამოშრობით, შეუსაბამო ან/და არასწორი დიზაინით ან/და პროექტირებით, დეფექტური მასალების გამოყენებით, ქონების სხვა ბუნებრივი თვისებებით;

ვ) დამზღვევის (მოსარგებლის) ან მათი წარმომადგენლების განზრახ ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებით;

ზ) სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა, სხვა რისკებით;

თ) დაზღვეული ქონების პირდაპირი დანიშნულების ტერიტორიაზე (დაზღვევის ტერიტორიაზე) არ ყოფნით;

ი) ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის (თუ ასეთის არსებობა მითითებულია განაცხად-ანკეტაში) გაუმართავ მდგომარეობაში ყოფნით;

კ) დაცვის (სიგნალიზაციის) სისტემის (თუ ასეთის არსებობა მითითებულია განაცხად-ანკეტაში) გაუმართავ მდგომარეობაში ყოფნით;

ლ) სახიფათო ნარჩენების შეუსაბამო, არასათანადო შეფუთვით და შეუსაბამო ადგილას მოთავსებით;

მ) გარემოებებით, რომლებიც ზრდიან სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევისათვის ან მისი წარმომადგენლისთვის და ამის შესახებ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია;

ნ) წინამდებარე პირობები არ ითვალისწინებს ნებისმიერი სახის მოწყობილობის ან დანადგარის ელექტროობის დაზიანებას, თუ ეს უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოწვეულია მოკლე ჩართვით ან დენის ცვალებადობით; ეს გამონაკლისი არ ეხება ასეთი მოკლე ჩართვის შედეგად გამოწვეული ხანძრით სხვა ქონების დაზიანებას;

ო) თვითმფრინავის ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის ბგერითი ან ზებგერითი სიჩქარით ფრენისას წარმოშობილი წნევის ტალღებით;

პ) სადაზღვევო რისკში განხორციელებული ისეთი არსებითი ცვლილებებით, რომელთა თაობაზე მზღვეველი არ იყო ინფორმირებული, ამასთან, არსებითად მიიჩნევა (მაგრამ არ შემოიფარგლება) ცვლილებები, რომლებიც ეხება შესაბამისი განცხადება-ანკეტით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ჟ) ქონების უგზო-უკვლოდ გაუჩინარებით;
რ) გარემოებებით, რომლებიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და/ან წინამდებარე პირობების მოთხოვნათა შესაბამისად, მზღვეველს ანიჭებს უფლებამოსილებას, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;
ს) კონფისკაციით, მათ შორის, ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლით, ჩამორთმევით, რეკვიზიციით, ექსპროპრიაციით, სახელმწიფო/საჯარო ორგანოების განკარგულების საფუძველზე ქონების განადგურებით;
ტ) ბირთვული რეაქციით, მათ შორის, ბირთვული რადიაციით ან დაბინძურებით;
უ) არაკეთილსინდისიერი ქმედებით, მათ შორის, თაღლითობით, შანტაჟით, გამოძალვით;
ფ) პირდაპირ ან ირიბად გამოწვეულია დამზღვევის ან/და ობიექტის მფლობელის/მესაკუთრის მიერ კანონის შესაბამისად მიღებული მიწერილობების/რეკომენდაციების/სხვა ღონისძიებების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობით, თუ დაზღვევის საგანი შემთხვევის მოხდენის დროს წარმოადგენს ობიექტს ან განთავსებულია მასში.
ქ) გამონაკლისია, ასევე, შენარჩუნების, მათ შორის, ჩვეულებრივი შენახვის, ხარჯები.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია:

4.1.1. განუხრელად დაიცვას წინამდებარე პირობებით და სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები;
4.1.2. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით;
4.1.3. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;
4.1.4. დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ.: ქონების გასხვისება ან მოსარგებლის შეცვლა, სადაზღვევო რისკის გაზრდა, სადაზღვევო თანხის გაზრდა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან;
4.1.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს ამის შესახებ სატელეფონო ცენტრს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
4.1.6. ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს ყველა შესაძლო ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად, თუმცა მზღვეველის თანხმობის გარეშე არცერთ შემთხვევაში არ შეუდგეს დაზიანებული/განდაგურებული ქონების აღდგენას/შეკეთებას;
4.1.7. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება თავისი მოქალაქეობრივი უფლებამოსილებისა და ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში;
4.1.8. გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევა, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;
4.1.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;
4.1.10. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში;
4.1.11. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ქონების უსაფრთხოების დასაცავად;
4.1.12. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ქონების მდგომარეობა;
4.1.13. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე პირობების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს;
4.1.14. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს;
4.1.15. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მე-4 მუხლის 4.1.5. პუნქტის შესაბამისად და მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების თაობაზე;
ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
გ) შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული

(დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, გამომწვევი მიზეზი, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები) (ასეთის არსებობისას), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები;

დ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით და ასეთი პირის ვინაობა ცნობილია, მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ასეთი მესამე პირის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ე) ხელშეკრულებით დაზღვეულ რისკებზე (გარდა 2.12; 2.14-2.16 და 2.19 პუნქტებით გათვალისწინებული რისკებისა) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას - სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე, ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ქონება არ წარმოადგენს დამზღვევის (მოსარგებლის) საკუთრებას – მესაკუთრის წერილობითი განცხადება მოსარგებლისათვის ანაზღაურების მიღების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

4.2. მზღვეველი ვალდებულია:

4.2.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად გადასცეს დამზღვევს დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;

4.2.2. მიიღოს დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

4.2.3. შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

4.2.4. მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მესამე პირის განზრახ ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის (მათი მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას - სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ასეთი აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2 (ორი) კალენდარული თვის ვადაში;

4.2.5. ჯეროვნად შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

4.3. დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია:

4.3.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს სადაზღვევო პოლისი;

4.3.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს მონაწილეობა მისი გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდის და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;

4.3.3. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე პირობებით და სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

4.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

4.4.1. დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მოახდინოს დასაზღვევი ქონების დათვალიერება, სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა;

4.4.2. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობების და სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

4.4.3. შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ქონების ექსპლუატაციის პირობები;

4.4.4. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია;

4.4.5. გააგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

4.4.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

4.4.7. მოახდინოს დამზღვევის დაზიანებული ქონების დათვალიერება და ფოტოგადაღებები;

4.4.8. შეადგინოს დაზიანებული (განადგურებული) ქონების აღდგენითი (შენაცვლებითი) ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

4.4.9. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილ ქონებაზე, ხოლო ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის გამო სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას დაკარგული ქონების პოვნის შემთხვევაში – ნაპოვნ ქონებაზე;

4.4.10. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებითა და სადაზღვევო პოლისით

დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

4.4.11. თუ ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გაირკვა, რომ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, გამოიყენოს რეგრესის წესი და მოითხოვოს ანაზღაურება გაცემული სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

4.4.12. გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

4.4.13. დაზღვევის პერიოდის ამოწურვამდე დაზღვეული ქონების ან მისი ნაწილის სრული განადგურების ან დაკარგვის გამო სრული ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში - მიიჩნიოს დაზღვევის ხელშეკრულება დასრულებულად შესაბამისი ქონების დაზღვევის ნაწილში;

4.4.14. არ აანაზღაუროს ზარალი, თუ დამზღვევმა (მოსარგებლემ) სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;

4.4.15. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას;

4.4.16. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოიქვითოს შესაბამისი დავალიანების თანხა.

მუხლი 5. სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო პრემია, ფრანშიზა და სადაზღვევო ანაზღაურება

5.1 სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დამზღვევსა და მზღვეველს შორის ურთიერთშეთანხმებით. ეს არის თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვეული საგნის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის საგნისათვის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე პირობების დებულებები და პირობები; დამატებით შეიძლება დაწესდეს სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტ(ებ)ი, რაც, ასევე, ასახვას პოვებს სადაზღვევო პოლისში.

5.2. დამზღვევის მიერ ყოველი კონკრეტული ობიექტის დაზღვევისათვის მზღვეველის სასარგებლოდ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის, შესაბამისი სადაზღვევო თანხის, მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტების, სადაზღვევო ტარიფისა და უპირობო ფრანშიზის მოცულობა განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით დამზღვევის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული განაცხადი-ანკეტის მონაცემთა საფუძველზე.

5.3. სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე – ხოლო თუ სადაზღვევო პოლისი მრავალწლიანია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე - მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.

5.4. სადაზღვევო პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება.

5.5. სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება დაზღვევის ობიექტის აღდგენითი ან შენაცვლებითი ღირებულებით სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზისა და წინამორბედ შემთხვევებზე (ასეთის არსებობისას) გაცემული თანხების (ანაზღაურების) გამოკლებით.

5.6. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ქონების სადაზღვევო ღირებულებაზე (აღდგენითი ან შენაცვლებით ღირებულებაზე), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს სადაზღვევო თანხისა და აღდგენითი (შენაცვლებითი) ღირებულების შეფარდების შესაბამისად, ანუ ასანაზღაურებელი ზიანის თანხა შემცირდება ისეთივე პროპორციით, როგორსაც შეადგენს სადაზღვევო თანხა სადაზღვევო ქონების აღდგენით (შენაცვლებით) ღირებულებასთან. ეს პირობა შეეხება ნებისმიერ ცალკეულ დაზღვეულ ობიექტსაც.

5.7. აღდგენა, უძრავი ქონების (შენობის) განადგურების შემთხვევაში, გულისხმობს უძრავი ქონების ხელახალ აშენებასა და რემონტს (აღდგენითი ღირებულება), სხვა ქონების განადგურების შემთხვევაში – მის შეცვლას ანალოგიური ქონებით (შენაცვლებითი ღირებულება), ამასთან, ორივე შემთხვევაში იგულისხმება ქონების იმ მდგომარეობაში აღდგენა, რომელშიც იმყოფებოდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე, ცვეთის გათვალისწინებით. ქონების დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება შესაბამისი რემონტის ხარჯები (იგულისხმება რემონტის შედეგად ქონების იმ მდგომარეობაში აღდგენა, რომელშიც იგი იმყოფებოდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე, ცვეთის გათვალისწინებით). თუ ქონების აღდგენა

რთულდება სახელმწიფოს მიერ მიღებული რაიმე სახის შემზღუდავი აქტის საფუძველზე, აღდგენის გართულებით განპირობებული ხარჯები არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას.

5.8. მზღვეველი აანაზღაურებს ნარჩენების გატანის ხარჯებს, რაც განხორციელდა მზღვეველის თანხმობის საფუძველზე და ითვალისწინებს იმ ნარჩენების გატანას, რომლებიც წარმოიქმნა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკის შედეგად დაზიანებული, დაღუპული ან განადგურებული ქონების ნაწილების დანგრევის, დემონტაჟის, გამაგრების ან გამყარების შედეგად სადაზღვევო თანხის 10%-ის ფარგლებში, თუ ასეთი დაფარვის შესახებ სპეციალურად არის მითითებული სადაზღვევო პოლისში.

5.9. მზღვეველი აანაზღაურებს არქიტექტორებზე, ინსპექციასა და ინჟინერ-კონსულტანტებზე გაწეულ გონივრულ ხარჯებს, რომლებიც გაღებული იქნა წინამდებარე პირობების შესაბამისად დაზღვეული ქონების დაზიანების ან განადგურების გამო სადაზღვევო თანხის 10%-ის ფარგლებში, თუ ასეთი დაფარვის შესახებ სპეციალურად არის მითითებული სადაზღვევო პოლისში.

5.10. დაზღვევის ობიექტის აღდგენის ღირებულებაში არ ჩაითვლება:

ა) ობიექტის რეკონსტრუქციასთან ან მის გადაიარაღებასთან, მისი ცალკეული ნაწილების, დეტალებისა და მოწყობილობების, მათი გაცვეთის, ტექნიკური წუნისა და ა.შ. შეკეთებასთან ან შეცვლასთან დაკავშირებული სამუშაოების ღირებულება;

ბ) ობიექტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ღირებულება.

5.11. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის საფუძველს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომელსაც ადგენს მზღვეველი და ხელს აწერს როგორც მზღვეველი, ასევე დამზღვევი. სადაზღვევო შემთხვევის აქტით მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე.

5.12. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის მოცულობას აფასებს მზღვეველის მიერ უფლებამოსილი პირი.

5.13. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მზღვეველი ფარავს;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დამზღვევი ფარავს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

5.14. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდგომ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობით.

5.15. ქონების განადგურებისას მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელ თანხას დააკლდება ასეთი მომენტისათვის დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას) თანხა.

5.16. თუ დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებითა და სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისში), მაგრამ დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

5.17. დასაზღვევი ობიექტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში პროპორციულად გაიზრდება სადაზღვევო თანხა და შესაბამისი სადაზღვევო პრემია, რაც აღინიშნება სადაზღვევო პოლისში დანართის სახით. დამატებულ დასაზღვევ ობიექტებზე დაზღვევა ძალაში შევა მას შემდეგ, რაც გადახდილ იქნება ნამატი სადაზღვევო პრემია.

მუხლი 6. დათქმა სტელაჟების შესახებ

6.1. მარაგების დაზღვევის შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისით დაფარულია 2.16 და 2.17 პუნქტებით გათვალისწინებული რისკები, ამ რისკებისაგან დაზღვეულად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი მარაგები,

რომლებიც ინახება იატაკის დონიდან არანაკლებ 15 სანტიმეტრის სიმაღლეზე მდებარე თაროებზე ან სტელაჟებზე.

მუხლი 7. რეგრესის წესი

7.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, ორიგინალის ან სათანადოდ დამოწმებული ასლის სახით, რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

7.2. დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

მუხლი 8. დავა და ზიანის ანაზღაურება

8.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „დაზღვევის მედიაციის“ მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს 8.1. პუნქტის შესაბამისად.

8.3. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.

9.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

მუხლი 10. დაზღვევის/ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. დაზღვეის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

გ) პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

დ) თუ დაზღვევის საგანი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა;

ე) თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

ვ) ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი.

ზ) თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

თ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

ი) საქართველოს კანონმდებლობითა და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

10.2. მზღვეველის ინიციატივით სადაზღვევო პოლისის/დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის (გარდა წინამდებარე პირობების 10.1 მუხლის ა, გ, დ და ვ ქვეპუნქტებისა, როდესაც დაზღვევა შეწყდება ამგვარი

მოვლენის დადგომის მომენტიდან), იგი ვალდებულია გაუგზავნოს დამზღვევს წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30-დღიანი ვადის დაცვით. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დაუბრუნდება დამზღვევს იმ პირობით, თუ შეწყვეტა არ არის განპირობებული დამზღვევის მიზეზით/ბრალით და იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისის ორიგინალს მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში და, ასევე, 10.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით;

10.3. დამზღვევის ინიციატივით სადაზღვევო პოლისის/დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის იგი ვალდებულია, გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მისი ადგილსამყოფელის მისამართზე 30-დღიანი ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია პროპორციულად. ამასთან, გამომუშავებული სადაზღვევო პრემია ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება დამზღვევის მიერ გადახდას. მიუხედავად აღნიშნულისა, 10.4. პუნქტით დადგენილი პირობა ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული.

10.4. დაზღვევის ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტისას მზღვეველის მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში კონკრეტულ დაზღვეულ ქონებასთან/პოლისთან მიმართებით ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში გამოუმუშავებელი პრემია ასეთ ქონებასთან/პოლისთან მიმართებით დაბრუნებას არ ექვემდებარება, განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას კი - გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დამზღვევის მიერ სრულად დაფარვას.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები.

11.1. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.2. დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებობა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც გარეშეც.

11.3. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

11.4. დაზღვევის ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;

11.5. დაზღვევის პოლისზე და შესაბამის განაცხადზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირს აქვს სათანადო უფლებამოსილება ამისათვის; დამზღვევი ასევე ადასტურებს, რომ დაზღვევის პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ხელშეკრულების დადებამდე, გაეცნო და ეთანხმება.

12. სპეციალური პირობა

12.1. წინამდებარე პირობების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, დაზღვევის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

ეს მნიშვნელოვანია! გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ

დაზღვევის პირობების აქცეპტირებით (თანხმობის გაცხადებით) და წინამდებარე პოლისის შეძენით თქვენ ეთანხმებით და ადასტურეთ რომ:

ა) მზღვეველი უფლებამოსილია თქვენს მიერ წინამდებარე დაზღვევის შეძენის მიზნებისათვის მზღვეველისათვის მიწოდებული პერონალური მონაცემები:

ა.ა.) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიაწოდოს შპს "სადაზღვევო-საინფორმაციო ბიურო"-ს (საიდენტ. კოდი: 204558433) ამ უკანასკნელთან შეთანხმებული წესით, იმ პირობით რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იქნება თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს;

ა.ბ.) მზღვეველი უფლებამოსილია მიაწოდოს ინფორმაცია შპს „კრედიტო ინფო საქართველოს" (204470740)ან სხვა ანალოგიური ფუნქციის მქონე დაწესებულებას იმ პირობით რომ მითითებული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან თქვენი პერსონალური მონაცემები მიაწოდონ მესამე პირებს; ასევე მზღვეველი უფლებამოსილია მიაწოდოს პერსონალური მონაცემები მესამე პირების თქვენ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების მონიტორინგის შემთხვევაში;

ა.გ.) დაამუშაოს თქვენი პერსონალური მონაცემები სადაზღვევო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ან/და შეთავაზების ან/და მომსახურების ხარისხის ან/და დანერგვის კვლევის მიზნებისათვის.

ბ) პოლისის მოქმედების განმავლობაში, კანონმდებლობაში, პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის სახეობის ფორმასთან დაკავშირებით ცვლილებების/ დამატების განხორციელების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, თქვენი დამატებითი თანხმობის/ აქცეპტის გარეშე, დაზღვევის სახეობის უცვლელად და დაზღვევის სხვა ფორმით, კანონით გათვალისწინებული წესითა და პირობებით, გაგიწიოთ სადაზღვევო მომსახურება. ხოლო თქვენ, მზღვეველის მიერ მითითებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევააში, აცხადებთ თანხმობას შეასრულოთ შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები.

გ) დაზღვევის პირობებს, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე ხელმისაწვდიომია თქვენთვის, გაეცანით და ეთანხმები.

დ) ტექსტური შეტყობინების საშუალებით მიიღოთ დაზღვევის პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაცია; დაზღვევის პირობებში მზღვეველის მიერ ცალმხრივად ცვლილებების შეტანის შემთხვევაში გაცნობილი ხართ თქვენ უფლებებს და აცნობიერებთ თქვენი ქმედების შედეგებს.

ე) სადაზღვევო პოლისისა და დაზღვევის პირობების შესახებ დავის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება მზღვეველთან დაცულ ინფორმაციას/ ვერსიას.

ვ) დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის ყველა პირობა არის ნათელი და გასაგები, არ შეიცავს რაიმე ბუნდოვანებას და სადაზღვევო პოლისის შესაძენად თქვენ მიერ გაცემული ნებისმიერი თანხმობა გამოხატულია ნებაყოფლობით, ყველა პირობის (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების) შესწავლის საფუძველზე და უთანაბრდება თქვენ მიერ წერილობით გაცემულ თანხმობას